



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 61-1

03/10/2019

საგანგებო ზომების მიღების შესახებ

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 51-ე მუხლის „ბ.ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. იმპორტირებულ წითელ წიწაკაში (დაფქული, დამსხვრეული) სუდანის ჯგუფის არასასურსათო საღებავების დიდი რაოდენობის აღმოჩენის გამო, რაც სერიოზულ რისკს წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობისთვის და არსებული საშუალებებით და რესურსებით ვერ ხერხდება მისი თავიდან აცილება, წითელი წიწაკის იმპორტის მიმართ განისაზღვროს შემდეგი სპეციალური მოთხოვნები:

ა) წითელი წიწაკის (დაფქული, დამსხვრეული) თითოეულ პარტიას, იმპორტის დროს (გარდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან, ევროპის ეკონომიკური ზონის ქვეყნებიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, კანადიდან, ავსტრალიიდან, ახალი ზელანდიიდან, შვეიცარიიდან და ისრაელიდან იმპორტისას) თან უნდა ახლდეს შესაბამისი აკრედიტაციის მქონე ლაბორატორიის გამოცდის ოქმი, სუდანის ჯგუფის საღებავების შემცველობაზე უარყოფითი შედეგით;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ საქონელს არ ახლავს ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტი, ტვირთის მფლობელთან შეთანხმებით საქონელი დაექვემდებაროს:

ბ.ა) ექსპორტიორ ქვეყანაში დაბრუნებას ან განადგურებას;

ან

ბ.ბ) საბაჟო კონტროლის ზონაში, შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი სპეციალისტის მიერ, ნიმუშების აღებას, შესაბამისი აკრედიტაციის მქონე ლაბორატორიაში, საქონლის მფლობელის ხარჯით, სუდანის ჯგუფის საღებავების შემცველობაზე გამოსაკვლევად (ლაბორატორიული კვლევის დადებითი შედეგის შემთხვევაში, განხორციელდეს ამ პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ღონისძიებები).

2. ეთხოვოს სსიპ შემოსავლების სამსახურს, საქართველოში არსებული ლაბორატორიების მიერ სურსათში სუდანის ჯგუფის საღებავების გამოკვლევის აკრედიტებული მეთოდების დანერგვის შემდგომ, განხორციელოს სუდანის ჯგუფის საღებავებზე იმპორტისათვის განკუთვნილი წითელი წიწაკის (დაფქული, დამსხვრეული) ნიმუშების აღება და ლაბორატორიული კვლევა სააგენტოსთან შეთანხმებული სიხშირით.

3. სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფისთვის საჭირო საგანგებო ზომები გამოყენებული იქნეს იმ დრომდე, ვიდრე საქართველოში არსებული რომელიმე ლაბორატორია არ აითვისებს სურსათში სუდანის ჯგუფის საღებავების გამოკვლევის აკრედიტებულ მეთოდებს, მაგრამ ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან არაუმეტეს 1 წლისა.

4. დაევალოს:

ა) სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტს, სსიპ შემოსავლების სამსახურის ინფორმირება აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ;

ბ) სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, შესაბამისი ინფორმაციის სააგენტოს ვებგვერდზე განთავსება.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი), ამ ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვასილ ბასილაძე



სააგენტოს უფროსი - მ.შ.